

## საქართველოს კანონი

„ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №5927, 14.03.2008) მე-19 მუხლში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-19 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომამდე ან/და ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ საზღვარგარეთ გაცემულ ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატთა აღიარებამდე ამ კანონის მოქმედება, გარდა ამ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტისა, არ ვრცელდება სახელმწიფო ორგანოების (ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირების) საქმიანობაზე საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, თუ შესაბამისი კანონით საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, ან არ არსებობს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილება.

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. სახელმწიფო ორგანოები (ორგანიზაციები და დაწესებულებები, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირები) უფლებამოსილნი არიან, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და ელექტრონული ხელმოწერა გამოიყენონ აგრეთვე საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. ელექტრონულ დოკუმენტსა და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურ დოკუმენტს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი